პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 47-ე წელი
№ 265 (13649) | სამშაბათი, 22 ნოემბერი, 1966 წ. | ფასი 2 კაპ.

## დიად თარიღს ღირსეული შეხვედრა!




### ფრთიანი ნოგათები

◆ საქართველოს კპ ჩხოროწყუს რაიკომის მეორე მდივანმა ქ. ბოგუამ, რასაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ მ. თოდუამ, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ბ. ციბამუამ რედაქციას აცნობეს: რაიონის მშრომელების პირობა იყო 5 დეკემბრისათვის — კონსტიტუციის დღის აღსანიშნავად სახელმწიფოსათვის მიეყიდათ 3.750 ცენტნერი ხორცი, ფაქტიურად 17 ნოემბრისათვის სახელმწიფოს მიეყიდა 3.770 ცენტნერი ხორცი, 8.813 ცენტნერი რძე ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 8.800 ცენტნერისა, 321.000 ცალი კვერცხი ნაცვლად 320.000 ცალისა, 421 ტონა თესლოვანი ხილი ნაცვლად 400 ტონისა, 927 ტონა ყურძენი ნაცვლად 703 ტონისა.

◆ **ბარდაბნის** რაიონის დიღმის მერძეველობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა **ბ. საყვარელიძემ**, პარტიული ორგანიზაციის მდივანმა **ვ. ელიზბარაშვილმა** რედაქციას აცნობეს: 21 ნოემბრისათვის მეურნეობამ სახელმწიფოს მიაყიდა 1.400 ტონა ბოსტნეული ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 1.300 ტონისა, 700 ტონა რძე ნაცვლად 626 ტონისა, 108 ტონა ხორცი ნაცვლად 80 ტონისა...

# პარტიული კომიტეტის ვლენუმი

ჩვენი პარტიის მრავალი წლის გამოცდილება მოწმობს, რომ კომუნისტთა, ყველა მშრომელის შემოქმედებითი ინიციატივის განვითარება და წარმართვა, ვითარების სწორი ანალიზი, მუშაობის შედეგების ობიექტური შეფასება შეიძლება მხოლოდ კოლექტიური ხელმძღვანელობის ლენინური პრინციპის ზუსტად დაცვის, შინაპარტიული დემოკრატიის განვითარების საფუძველზე. კოლექტიურ გონებაზე დაყრდნობა, მასების ზრისათვის ყურის დგადების, პოლიტიკასა და პრაქტიკულ საქმიანობაში ბათი გამოცდილების გამოყენების უნარი პარტიული ხელმძღვანელობის საფუძველს შეადგენს.

სკკპ XXIII ყრილობამ ცხადყო პარტიული მშენებლობის ლენინური პრინციპების ძალა. ყრილობამ მოიწონა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ბაზი — პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმებისა და ხელმძღვანელობის კოლექტიურობის პრინციპების ზუსტად დაცვის ხაზი. პარტიული ორგანოები მოწოდებული არიან კიდევ უფრო მეტი ყურადღებით მოეპყრონ კომუნისტთა აზრსა და წინადადებებს, შექმნან პირობები საკითხების თავისუფალი, საქმიანი განხილვისათვის, კრიტიკის განვითარებისათვის.

ასრულებენ რა ყრილობის გადაწყვეტილებებს, პარტიული ორგანიზაციები იჩენენ დიდ ზრუნვას იმისათვის, რომ კოლეგიალობა მუშაობაში მტკიცდებოდეს და ვითარდებოდეს, ხელს უწყობდეს დასახული ამოცანების ეფექტიან განხორციელებას, წინააღმდეგობას უწევდეს ცალმხრივობას, შეზღუდულობასა და მცდარობას საკითხების გადაჭრაში, ქმნიდეს ნიადაგს კომუნისტების აქტივობისა და თვითმოქმედების ზრდისათვის, პარტიული ორგანოების პასუხისმგებლობის გაძლიერებისათვის. ამ ბოლო დროს მნიშვნელოვნად გაძლიერდა ასეთი კოლეგიური ორგანოების როლი და გავლენა, როგორიც არიან პარტიული კომიტეტების პლენუმები. ალბა ეს პლენუმები თითქმის ყველგან ეწყობა რეგულარულად, საქმიან მაარებაში, განსახილველი პრობლემებით მონაწილეთა დიდი დაინტერესების ვითარებაში. იქმნება ხელსაყრელი პირობები აზრთა ფართო ურთიერთ გაზიარებისათვის, კოლექტიურ გადაწყვეტილებათა შემუშავებისათვის.

პლენუმი პარტიული კომიტეტის წევრთა კრებაა, რომლებიც აღჭურვილი არიან კომუნისტების ნდობით. ისი მუშაობის წარმატება უწინარეს ყოვლისა დამოკიდებულია იმაზე, თუ რაოდენ დიდმნიშვნელოვანი და აქტუალური პრობლემებია გამოტანილი განსახილველად, ეხება თუ არა ისინი უშუალოდ ოლქის, ქალაქის ან რაიონის პარტიული ორგანიზაციების, წარმოო კოლექტივების ინტერესებს. ამ საკითხთა ხასიათი, რომლებსაც ბოლო პლენუმებზე განიხილავენ, არსებითად შეიცვალა. პირველ პლანზე გადმოდგება პარტიული ორგანიზაციების ორგანიზატორული და პოლიტიკური საქმიანობის პრობლემები. და განსაზღვა მეტ ფილ შემთხვევებში მთავარ ყურადღებას აქცევს ზრუნვას იმისათვის, თუ როგორ აამაღლონ პარტიორგანიზაციების როლი სკკპ XXIII ყრილობის მიერ დასახული ამოცანების გადაჭრაში, როგორ დაუქვემდებარონ მასებში მუშაობა სამეურნეო და კულტურული მშენებლობის კონკრეტული გეგმების შესრულებას.

პლენუმებზე დიდი ადგილი უჭირავს მეურნეობის ხელმძღვანელობის საკითხებს. ეს გასაგებიც არის: ეკონომიკა მთავარი როგორია კომუნისტურ მშენებლობაში. მაგრამ ამ საკითხების გადაჭრას პარტიული კომიტეტები ცდილობენ პოლიტიკური ხელმძღვანელობის ორგანოებისათვის დამახასიათებელი მეთოდებით, წარმოების განვითარებაზე პარტიული გავლენის გაძლიერების გზით. სწორედ ასე განიხილა, ვთქვათ, პარტიის ნიენი ტაგილის საქალაქო კომიტეტის პლენუმმა საკითხი ქალაქის საწარმოებში მატერიალური და მორალური სტიმულირების პრაქტიკის შესახებ. მიღებულ გადაწყვეტილებაში განსაზღვრულია პარტიული ორგანიზაციების ამოცანები და მუშაობის მეთოდები.

ფრიად საგულისხმოა, რომ იცვლება პლენუმებზე განხილვის ხასიათი. თანდათანობით ბარდება წარსულს ოვითანგარიშის ფორმით გამოსვლები. მონაწილენი საქმიანად, კრიტიკულად აფასებენ საქმის მდგომარეობას არა მარტო იმ კოლექტივში, რომლის წარმომადგენლებიც ისინი არიან, არამედ აგრეთვე რაიონულ, საქალაქო და საოლქო პარტიულ ორგანიზაციებში. ამას მნიშვნელოვანწილად უწყობს ხელს პლენუმების მომზადების ახალი წესი, რომელიც შემოღებულია მთელ რიგ ადგილებში. თუ წინათ საკითხებს პლენუმებისათვის ამზადებდა მუშაკთა ვიწრო წრე, უმთავრესად პარტიული აპარატიდან, ახლა ამზადებს პარტიული კომიტეტების ბევრი წევრი. მაგალითად, მასალებს პარტიის იაროსლავლის საქალაქო კომიტეტის ერთ-ერთი უკანასკნელი პლენუმისათვის ამზადებდა საქალაქო კომიტეტის 25 წევრი და წევრობის კანდიდატი. იაროსლავლის კიროვის რაიკომის წევრთა აქტიური მონაწილეობით მომზადდა პლენუმი კადრებთან მუშაობის შესახებ. ეს გამოცდილება ფართოდ უნდა გავრცელდეს.

მოძველებული კანონების, პარადულობისა და ფორმალიზმის დაძლევას ხელს უწყობს პლენუმების მოწყობის ახალი მეთოდების ძიება. ამ ბოლო დროს, მაგალითად, მთელ რიგ ადგილებში გაიმართა პლენუმები, რომლებზეც მოხსენებები არ წაუკითხავთ. მოხსენების ტექსტი და სხვა მასალები წინასწარ იგზავნება. მათ ეცნობიან კომიტეტის წევრები, მოხსენებებს ხშირად განიხილავენ კომუნისტთა კრებებზე, რაც შესაძლებელს ხდის უფრო ღრმად შეისწავლონ საკითხი, ნაკლოვანებათა მიზეზები და გამონახონ მათი აღმოფხვრის სწორი გზები. რა თქმა უნდა, მიზანშეწონილი რიდია ყოველი პლენუმი მოწყოს ისე, რომ არ წაიკითხონ მოხსენება. არის ბევრი საკითხი, რომელთა გამო მოხსენების გაკეთება აუცილებელია.

კოლექტიური ორგანოს ნორმალური საქმიანობა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა მისი წევრები ფართოდ არიან ინფორმირებული, იმყოფებიან პარტიული ორგანიზაციის ცხოვრების კურსში. და უწინარეს ყოვლისა მათ უნდა იცოდნენ, თუ როგორ ხორციელდება პარტიული კომიტეტის გადაწყვეტილებები. მოწონების ღირსია იმ ბიუროების პრაქტიკა, რომლებიც აცნობენ კომიტეტის წევრებს ადრე მიღებულ დადგენილებათა შესრულების მსვლელობას. მაგალითად, სკკპ ჩაჩნეთ-ინგუშეთის საოლქო კომიტეტის ბიურომ უკანასკნელ პლენუმზე ვრცლად მოახსენა, თუ რა პრაქტიკული ღონისძიებები განხორციელდა იმისათვის, რომ შესრულებულიყო საოლქო კომიტეტის გადაწყვეტილება „სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის შედეგებისა და საოლქო პარტორგანიზაციის ამოცანების შესახებ“, იმის შესახებ, თუ კიდევ რა უნდა გაკეთდეს. სამწუხაროდ, ასეთი პრაქტიკა ყველგან როდია შემოღებული.

დღემდე პარტიული კომიტეტების ზოგიერთ პლენუმზე იწვევენ მუშაკთა ფართო წრეს, თუმცა ეს აშკარად ვერ ამართლებს თავის დანიშნულებას. მაგალითად, ულან-უდეში საქალაქო კომიტეტის პლენუმზე მიწვეულები სამჯერ მეტი აღმოჩნდნენ, ვიდრე საქალაქო კომიტეტის წევრები და წევრობის კანდიდატები. ხალხმრავალ კრებებს, შესაძლოა, გარეგნულად უფრო საფუძვლიანი სახე აქვს, მაგრამ ისინი ვერ ქმნიან ნაყოფიერი მუშაობის, აზრთა გულახდილი ურთიერთ გაზიარების პირობებს.

„პრავდაში“ მოდის წერილები, რომლებშიც იტყობინებიან, რომ ზოგჯერ პარტიული კომიტეტის წევრთა მნიშვნელოვანი ნაწილი მონაწილეობას არ იღებს პლენუმის მუშაობაში, არ ესწრება სხდომებს. ასეთი შემთხვევები აშკარად არანორმალურია. როცა განიხილავენ პარტიული ორგანიზაციების საქმიანობის, მშრომელთა ცხოვრების უმნიშვნელოვანეს საკითხებს, სწორ გადაწყვეტილებათა შემუშავებისათვის უნდა ვიცოდეთ პარტიული კომიტეტის თვითეული წევრის თვალსაზრისი.

პარტიული მშენებლობის ლენინური ნორმების, კოლექტიურობის პრინციპის თანამიმდევრულად და მტკიცედ დაცვა ყველა პარტიული ორგანიზაციის ორგანიზაციულ-პოლიტიკური მუშაობის დონის შემდგომი ამაღლების, მათ მიერ იმ ამოცანების წარმატებით შესრულების უმნიშვნელოვანესი პირობაა, რომლებიც სკკპ XXIII ყრილობამ დასახა ეკონომიკისა და კულტურის განვითარებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის, ხუთწლედის გეგმების განხორციელების დარგში.

**ОПРАВДА**

**21 ნოემბრის მოწინავე**

# ურთიერთგაგების ატმოსფეროში

### საბჭოთა კავშირ-ავსტრიის კომუნიკე

**სახელმწიფო** ხელშეკრულება დამოუკიდებელი და დემოკრატიული ავსტრიის აღდგენის შესახებ, აგრეთვე ავსტრიის პარლამენტის მიერ მიღებული ავსტრიის მუდმივი ნეიტრალიტეტი, რომელმაც საერთაშორისო აღიარება მოიპოვა, პოზიტიური წვლილია საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და ევროპის მშვიდობის განმტკიცების საქმეში, ნათქვამია საბჭოთა კავშირ-ავსტრიის ერთობლივ კომუნიკეში, რომელიც გამოქვეყნდა, როცა დამთავრდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ნ. ვ. პოდგორნის 1966 წლის 14-21 ნოემბრის ოფიციალური ვიზიტი ავსტრიაში.

საბჭოთა მხარემ განაცხადა, ხაზგასმულია კომუნიკეში, რომ საბჭოთა კავშირი სავსებით და უანგაროდ უჭერდა და დაუჭერს მხარს ავსტრიის იმ ღონისძიებებს, რომ განამტკიცოს თავისი, როგორც ნეიტრალური სუვერენული სახელმწიფოს, მდგომარეობა.

ორივე მხარე პირველხარისხოვან მნიშვნელობას ანიჭებს ევროპის კონტინენტის მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებას. ამასთან დაკავშირებით შეეხნენ საკითხს, რომ მოეწყოს სრულიად ევროპის თათბირი ევროპის უშიშროების უზრუნველყოფისა და სრულიად ევროპის თანამშრომლობის მოგვარების პრობლემათა განსახილველად. მხარეებს მიაჩნიათ, რომ ასეთი კარგად მომზადებული თათბირის მოწვევა მნიშვნელოვანი წვლილი იქნებოდა ევროპისა და მთელი მსოფლიოს ვითარების ნორმალიზაციის საქმეში.

მხარეებმა გააშუქეს თავიანთი შეხედულებანი გერმანიის საკითხზე. მათ აღნიშნეს, რომ გერმანიის მშვიდობიანი მოწესრიგების პრობლემის გადაჭრა უნდა ითვალისწინებდეს ყველა დაინტერესებული სახელმწიფოს უშიშროების ინტერესებს.

მოლაპარაკების მონაწილეებმა ცნეს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებს მთელი მსოფლიოს მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების საქმეში. მათ დაადასტურეს, რომ დაინტერესებული არიან, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია განმტკიცდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების ზუსტად დაცვის საფუძველზე, და საჭიროდ მიიჩნიეს სახელმწიფოთა აქტიური და კონსტრუქციული თანამშრომლობა ამ ორგანიზაციის ფარგლებში.

მხარეებმა ხაზი გაუსვეს იმის დიდ მნიშვნელობას, რომ სახელმწიფოებმა მიაღწიონ შეთანხმებას ეფექტიან საერთაშორისო კონტროლსდაკვემდებარებული საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ იმ პრინციპების საფუძველზე, რომლებიც მოიწონა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ.

მხარეებმა საპირველ მიიჩნიეს მოეწყოს განიარაღების მსოფლიო კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიიღოს მსოფლიოს ყველა სახელმწიფომ.

გაითვალისწინეს რა საფრთხე, რასაც ატომური იარაღის გავრცელება უქმნის მშვიდობას, მხარეებმა ხაზი გაუსვეს, რომ გადაუდებლად უნდა დადგეს ხელშეკრულება ატომური იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ.

მოლაპარაკების მონაწილეებმა აღნიშნეს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მოსკოვის 1963 წლის ხელშეკრულებას ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ, რომელიც დიდმნიშვნელოვანი წვლილია საერთაშორისო დაძაბულობის შენელების საქმეში. მხარეებს საჭიროდ მიაჩნიათ შეთანხმების მიღწევა ატომური იარაღის ყოველგვარი გამოცდის აკრძალვის შესახებ.

მხარეებმა აღნიშნეს, რომ დიდად აწუხებთ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში შექმნილი სიშფი მდგომარეობა და ჩამოაყალიბეს თავიანთი შეხედულები პოზიციები ვიეტნამის საკითხში. მათ მიაჩნიათ, რომ ვიეტნამელ ხალხს უნდა მიეცეს შესაძლებლობა თვითონ განსაზღვროს თავისი ბედი და რომ ქენევის 1954 წლის შეთანხმებათა შესრულება საფუძვლად უნდა დაედოს ვიეტნამის პრობლემის მოწესრიგებას.

მხარეებმა კმაყოფილება გამოთქვეს საბჭოთა კავშირ-ავსტრიის ახლანდელი ურთიერთობის გამო. დაწერილებით განიხილეს ამ ურთიერთობის შემდგომი განვითარების შესაძლებლობანი.

ამასთან დაკავშირებით კომუნიკეში ხაზგასმულია, რომ საჭიროა კიდევ უფრო გაფართოონ ორივე ქვეყნის ეკონომიური, კულტურული და მეცნიერული ურთიერთობა, აგრეთვე განვითარონ ტურიზმი.

მხარეები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ პირადი კონტაქტების შემდგომ განვითარებას საბჭოთა კავშირისა და ავსტრიის სახელმწიფო მოღვაწეებს შორის.

ნ. ვ. პოდგორნინმ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით ითხოვა ავსტრიის რესპუბლიკის ფედერალურ პრეზიდენტს ფრანც ონჰაულ ეწვიოს საბჭოთა კავშირს ოფიციალური ვიზიტით, აღნიშნულია კომუნიკეში. საბჭოთა მთავრობის სახელით მან აგრეთვე სთხოვა ფედერალურ კანცლერს დოქტორ იოზეფ კლაუსს ეწვიოს საბჭოთა კავშირს ოფიციალური ვიზიტით. მოწვევას ისინი მადლობით დათანხმდნენ. ვიზიტის დროს შეათანხმებენ დიპლომატიური არხებით.

## ეროგულად ვემსახურო პარტიას ღა ხალხს

კიევი, 19 ნოემბერი. (საკ.სესი კორ.). დღეს აქ მუშაობა დაამთავრა უკრაინის მწერალთა მეხუთე ყრილობამ. ოთხ დღეს გრძელდებოდა რეპუბლიკის ლიტერატორთა დიდი ნაყოფიერი საუბარი იმის შესახებ, თუ რაზე მუშაობენ სიტყვის ოსტატები ემსახურებიან რა დიდი ოქტომბრის 50 წლისთავიცა და ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის.

ყრილობაზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, უკრაინის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ვ. ვ. შჩერბიცკიმ, მანვე უკრაინის მწერალთა კავშირს გადასცა სამახსოვრო მედალი, რომელიც დაწესდა ბიტლერულ დამპყრობთაგან საბჭოთა უკრაინის განთავისუფლების 20 წლისთავის აღსანიშნავად.

უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ ს. ა. კოვპაკმა უკრაინის მწერალთა კავშირს გადასცა უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელი. შემოქმედებით კავშირი სიგელით დაჯილდოვდა აქტიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობისათვის, სკკპ XXIII ყრილობისა და უკრაინის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა ფართო პროპაგანდისათვის, ჭეშმარიტ ლენინელ-ბოლშევიკურ ტრადიციებზე აღზრდილ ახალგაზრდობაში.

გაიმართა უკრაინის მწერალთა კავშირის გამგეობის პლენუმი, გამგეობის პირველ მდივნად არჩეულია ო. გონჩარი.

## ამხ. ვ. პ. მქავანაძე ეწვია ბედენის არქეოლოგიურ გათხრების ექსპედიციას

წლევანდელი წელიწადი უაღრესად ნაყოფიერი გამოდგა ქართული არქეოლოგიური მეცნიერებისათვის. წელს მოპოვებული არქეოლოგიური მოხავალი უაღრესად მნიშვნელოვანი და წმინდა მეცნიერული აზრით დიდად ბარაქიანია. ამის თქმის უფლებას ნამდვილად იძლევა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ექსპედიციის (ხელმძღვანელი ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი გ. გოგაეჯიშვილი) მასალები.

ექსპედიციამ, რომელიც უკვე თითქმის ათი წელია სწავლობს თეთრი წყაროს რაიონის აღრეული ლითონის ხანის კულტურის ძეგლებს, წელს ბედენის ზეგანზე (1.800 მ. ზღვის დონიდან) გათხარა ე. წ. „გადაჭრილი გორა“. ეს არის ყორღანი ანუ გორსამარხი, რომელშიც აღმოჩნდა ჩვენს წელთაღრიცხვამდე დაახლოებით მე-19 საუკუნის ხის აკლდამა მეცნიერებისათვის ფასდაუდებელი მრავალი საგნით.

გუშინ ბედენის ზეგანზე მიკვლეული არქეოლოგიურ მონაპოვარს გაეცნო სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ვ. პ. მჟავანაძე, რომელსაც ახლდნენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ნ. მუსხელიშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი დ. სტურუა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებელთა განყოფილების გამგე დ. ლაშქარაძე.

ამხ. ვ. პ. მჟავანაძე დიდი ინტერესითა და უურადღებით გაეცნო ბედენის ზეგანზე ჩატარებულ არქეოლოგიურ გათხრებს. მას მოახსენეს, რომ „გადაჭრილ გორაში“ აღმოჩენილ ხის აკლდამას და იქ მიკვლეულ ნივთებს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული კულტურის ისტორიის შესწავლისათვის. უდიდესია ბედენის აკლდამის არქიტექტურის მეცნიერული მნიშვნელობა. შედარებით ასე კარგად შემონახულ ამ ტიპის სამშენებლო ხელოვნების ძეგლს პირველად ვხედებით არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ ამიერკავკასიაში.

ამხ. ვ. პ. მჟავანაძეს უჩვენეს აკლდამაში აღმოჩენილი ნივთები — ბრინჯაოს სატები, ოქროს დიდი მასიური ქინძისთავი (რომელიც ნამდვილი ხელოვანი ოსტატის ხელით ფაქიზად არის შემკობილი წმინდა გრეხილისებური არშიით, მის შიგნით გამოყვანილი მეანდრითა და მცირე წრეებით), ვულკანური მინის ისრის წვერი და სხვ., აღნიშნეს, რომ ამათ გარდა აკლდამაში მიკვლეულ იქნა მრავალი ხის, თიხისა და ლითონის საგანი, რომლებიც საშუალებას იძლევა ასე ფართოდ გავიცნოთ ბრინჯაოს ხანის ქართველ ტომთა ყოფაცხოვრების კულტურა.

ამხ. ვ. პ. მჟავანაძეს განმარტებებს აძლევდნენ აკადემიკოსები ბ. ჭერეთელი, ბ. მელიქიშვილი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ბ. ჩიტაია, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ა. აფაქიძე და ბედენის გათხრების ექსპედიციის ხელმძღვანელი ბ. გოგაეჯიშვილი.

გამომშვიდობებისას ამხ. ვ. პ. მჟავანაძემ გულითადი მადლობა გადაუხადა მეცნიერებს და არქეოლოგიური ექსპედიციის წევრებს უსურვა ახალი მიღწევების მოპოვება.

დედაქალაქისაკენ გზად მიმავალი ამხ. ვ. პ. მჟავანაძე შეჩერდა თეთრი წყაროს რაიონის სოფელ ივანოვკაში, ესაუბრა კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ნ. ტოკაუზისს და სოფლის მშრომელებს.

ლ. კიკნაძე,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.



სურათებზე: ზემოთ — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ვ. პ. მჟავანაძე ბედენის არქეოლოგიურ გათხრებზე; ქვემოთ — ბედენის არქეოლოგიური გათხრების და აკლდამის საერთო ხედი.

ფოტო გადაღებულ „კომუნისტის“ სპეც. კორ. ვლ. გინზბურგისა.

## სკკპ დელეგაცია სამშობლოში დაბრუნდა

**სოფია.** კვირას სოფიიდან სამშობლოში გაემგზავრა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია, რომელიც ბულგარეთის კომპარტიის IX ყრილობაზე იყო. ჩამოსული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით. სოფიის აეროდრომზე დელეგაცია გაცილეს ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ტოდორ ჟივკოვმა, პოლიტბიუროს წევრებმა და წევრობის კანდიდატებმა, ცენტრალური კომიტეტის წევრებმა და მთავრობის წევრებმა, თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწეებმა.

**20 ნოემბერს** სოფიიდან მოსკოვში დაბრუნდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით. დელეგაცია მონაწილეობდა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის IX ყრილობის მუშაობაში.

ვნუკოვოს აეროდრომზე დელეგაციას შეხვდნენ ამხანაგები ა. პ. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, კ. ტ. მაზუროვი, ა. ი. პელშე, მ. ა. სუსლოვი, ა. ნ. შელეპინი, ვ. ვ. გრიშინი, პ. ნ. დემიჩევი, დ. ო. უსტინოვი და სხვები. (საკ.სესი).

## გულითადობის ვითარებაში

**სოფია.** წარსულ შაბათს ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და სამდივნოს წევრები შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ლ. ი. ბრეჟნევს და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციის წევრებს, რომელიც ბულგარეთის კომპარტიის IX ყრილობაზე იყო ჩამოსული. ამას იუწყება ბულგარეთის დეპეშათა სააგენტო. შეხვედრას დაესწრო ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ტოდორ ჟივკოვი. შეხვედრის მონაწილეებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრები ბულგარეთის კომპარტიისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, ბულგარეთისა და საბჭოთა კავშირის ძმური ურთიერთობისა და თანამშრომლობის შემდგომი განვითარების შესახებ. შეხვედრამ განსაკუთრებული ბულგარეთ-ბულგარეთ-ბულ-ბულ-ბულ



*პირველადი პარტიული ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე*

# კინემატოგრაფი — ეპოქის მემატიანე

კინოს ძირითადი ყანრი ყოველთვის იყო, არის და მომავალშიც დარჩება მხატვრული კინემატოგრაფია, ალეგორიული ადამიანებზე ესთეტიკური და იდეური ზემოქმედების დიდი დამარწმუნებელი ძალით. ამიტომაც არის კინოხელოვნება იდეოლოგიური მუშაობის უმნიშვნელოვანესი უბანი, ადამიანთა კომუნისტური აღზრდის მძლავრი საშუალება. სწორედ ამან განაპირობა კინოსტუდია „ქართული ფილმის“ კომუნისტთა უაღრესად პრინციპული და საქმიანი სჯა-ბაასი, პირველადი პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე რომ გაიმართა.

პარტიული ბიუროს მდივნის ზ. უუშარაძის საანგარიშო მოხსენებაში მკაფიოდ ჩქონდა გაკეთებული ანალიზი კინოსტუდიის კომუნისტთა მუშაობას საანგარიშო პერიოდში, რომელიც დაახლოებით ცამეტ თვეს მოიცავს. პარტიულმა ორგანიზაციამ, რომელიც ხელმძღვანელობდა სკკპ XXIII ყრილობისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობის გადწყვეტილებებით, გარკვეულ წარმატებებს მიაღწია კინოსტუდიის შემოქმედებითი და სამეურნეო საქმიანობის, პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისა და სტუდიის მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის გზაზე.

კინოსტუდია „ქართულ ფილმს“ მიმდინარე წელს ეკრანზე უნდა გამოეშვა შვიდი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი. ჩვენი მაყურებელი ჯერჯერობით გაეცნო ქართველ კინოხელოვანთა ოთხ ახალ ნაშუშვარს („აბესალომ და ეთერი“, „შეხვედრა წარსულთან“, „უყაიმო თამაში“, „მაცი ხვიტა“), სამ დანარჩენს კი წლის ბოლომდე ვიხილავთ ეკრანებზე. ასევე შესრულებული იქნება ხუთი დასახელების მულტიპლიკაციური ფილმის გამოშვების, ორმოცი კინოსურათის რუსულიდან ქართულ ენაზე დუბლირების დავალებაც.

ახალი გამარჯვება მოიპოვა თავის ახალ ფილმში ჩვენი კინემატოგრაფიის ოქროს ფონდს ბელოვანმა, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა სიკო დოლიძემ. მისი „შეხვედრა წარსულთან“ არა მარტო გახუნული წლის, არამედ უკანასკნელი პერიოდის ერთ-ერთი საუკეთესო ფილმია, რომელშიც მაღალმხატვრულად და რეალისტურად არის გაცოცხლებული კონლეტივიზაციის პერიოდის ქართული სოფელი, ამ პერიოდში ძველისა და ახლის მძაფრი, სამკვდრო-სასიცოცხლო შერკინება.

ცნობილი ეეშმარიტებაა, რომ არ შეიძლება შეიქმნას მაღალმხატვრული ფილმი, თუ მას საფუძვლად არ უდევს შესაბამისი ლიტერატურული პირველწყარო — სრულყოფილი სცენარი. კინოსცენარი არის საძირკველი, რომელზეც უნდა აშენდეს შენობა-კინოფილმი. ამიტომ გასაგებია, რაოდენ რთული და პასუხსაგებია კინოსტუდიის სასცენარო კოლეგიის საქმიანობა. გადამღები ჯგუფების რიტმულ შეუფერხებელ მუშაობას ხელს უშლის მოუმზადებელი, დაუმუშავებელი სცენარების გადაცემა წარმოებისათვის. ასეთი ფაქტები კი იყო და ახლაც არის. განსაკუთრებით არასახარბიელო მდგომარეობაა 1967 წელს დასადგმელი ფილმების სცენარების მხრივ. როგორც კრებაზე აღინიშნა, საჭირო იქნება სასცენარო კოლეგიამ გააუმჯობესოს მუშაობა, აამაღლოს პასუხისმგებლობა და მომთხოვნელობა. არასრულყოფილი, მოუმზადებელი სცენარის წარმოებაში ჩაშვება გაუმართლებელია.

ხშირად ირღვევა კინოფილმების გადაღების დადგენილი ვადებიც. ეს გარემოება, ცხადია, იწვევს ხანგრძლივი ხანგრძლივობის გადახარჯვას. მოხსენებაში აღნიშნული იყო, რომ სწორედ გადაღების ვადების დარღვევის გამო კინოსტუდიას გადახარჯული აქვს 112 ათასი მანეთი (აქედან 77 ათასი მანეთი „მაცი ხვიტას“ გადამღებ ჯგუფზე მოდის). მკაცრად გააკრიტიკეს კინოსურათ „წვიმის“ (რეჟისორი მ. კობახიძე) გადამღები ჯგუფის საქმისადმი უპასუხისმგებლობა და აშკარა არაორგანიზებულობა.

1967 წელი საიუბილეო წელია ჩვენი ქვეყნის ხალხთა ცხოვრებაში: საბჭოთა ხალხმეურნეობის 50 წლისთავი უსრულდება. საქართველოს კინოხელოვნების მოღვაწეები თავიანთ უპირველეს მოვალეობად თვლიან ამ დიდ თარიღს შეხვდნენ მაღალიდეური ნაწარმოებებით, რომლებშიც ნაჩვენები იქნება ჩვენი ხალხის ხასელოვანი რევოლუციური წარსული, მისი შეუდრეკელი ბრძოლა ახალი ცხოვრების დამკვიდრებისათვის, ნაჩვენები იქნება ჩვენი თანამედროვეობა — მთელი თავისი სიდიადით და გამარჯვებული შრომის პათოსით.

საანგარიშო მოხსენებაში და კამათის მონაწილე კომუნისტებს სიტყვებში თვალნათლივ იგრძნობოდა, რომ კინოსტუდია „ქართულ ფილმს“, სადაც ერთმანეთის გვერდით მუშაობენ უკვე ახალგაზრდა ფილმ-ოსტატები, ალიარებული ოსტატები და ნიჭიერი, საუკეთესო მომავლის მქონე ახალგაზრდობა, შეუძლია მხარი გაუსწოროს თანამედროვეობის, ჩვენი დროის კინომაყურებლის მოთხოვნილებებს.

კინორეჟისორებმა ს. დოლიძემ, დ. რონდელმა, რ. ჩხეიძემ, სტუდიის ხმის ჩამწერი საამქროს უფროსმა მ. ათანელოვმა, დირექტორის მოადგილემ თ. ლორთქიფანიძემ, ზუსტი ოპერატორის ოსტატმა ი. დიშელმა, ფილმის დირექტორმა ვ. ოზიაშვილმა თავიანთ გამოსვლებში შემოქმედებით საკითხებთან ერთად მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმეს წმინდა საწარმოო საკითხებს, გააცხადეს უარადგება კინოსტუდიის ახალი ტექნიკით აღჭურვის აუცილებლობაზე, კინოთეორიისა და კინოკრიტიკის განვითარებაზე, კინოხელოვნების კვლევითი ცენტრის შექმნის საჭიროებაზე, მაყურებლის მოთხოვნილების შესწავლის საკითხებზე, მეგობრული შემოქმედებითი ატმოსფეროს კეთილნაყოფიერ ზემოქმედებაზე.

პარტიულ კრებაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. დ. სტურუა.

საანგარიშო-საარჩევნო კრების მუშაობაში მონაწილეობდნენ ავრეთვე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აგიტაციისა და პროპაგანდის განყოფილების გამგე ამხ. შ. სარალიძე და პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. ე. სალუქვაძე.

კრებამ აირჩია პარტიბიუროს ახალი შემადგენლობა და მიიღო დადგენილება, რომელშიც უურადღება გამახვილებულია ქართველ კინემატოგრაფისტთა სადღესასწაულო ამოცანებზე, გამოთქმულია რწმენა, რომ „ქართული ფილმის“ კოლექტივს შესწევს ძალა და შემოქმედებითი ენერგია შექმნას საბჭოთა ეპოქის ამსახველი მაღალიდეური, დიდი მხატვრული სიმართლით აღბეჭდილი ნაწარმოებები.

ლ. უიფუშიძე.

# ᲔᲕᲙᲐᲚᲘᲞᲢᲘᲡ ᲧᲣᲠᲐᲦᲚᲔᲑᲐ!



ყველა მატერიკზე, მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში არის ევკალიპტის ნარგავები. ევკალიპტის სამშობლოში—ავსტრალიასა და ტასმანიაში მისი 300-ზე მეტი სახეობაა და მათ 8 მილიონ ჰექტარზე მეტი ფართობი უჭირავთ. თავისი სამშობლოს გარეთ ევკალიპტის ხელოვნური ნარგავები 1,6 მილიონ ჰექტარს აღემატება. ამჟამად ევკალიპტის მნიშვნელოვანი ფართობები აქვთ ბრაზილიას, ესპანეთს, პორტუგალიას, ჩინეთს, ინდოეთს, იტალიას, კუბას. ევკალიპტის ნარგავებია აგრეთვე საბერძნეთში, თურქეთში, ირლანდიაში, შვეიცარიაში, იუგოსლავიაში, ალბანეთში.

ევკალიპტი ყველაზე მაღალი ხეა მსოფლიოში. იგი ფართოდ ტოტებგაშლილი, ლამაზვარჯიანი მცენარეა. მისი ფართოდ გავრცელება და დიდი პოპულარობა განპირობებულია მთელი რიგი შესანიშნავი თავისებურებებით და პირველ რიგში იმით, რომ იგი განსაკუთრებით სწრაფად იზრდება. სიმაღლეზე ზრდის ტემპებით მას ვერ შეედრება ვერც ერთი ხის ჯიში მსოფლიოში. ევკალიპტზე გაუზვიადებლად შეიძლება ითქვას, რომ იგი პირდაპირ თვალდათვალ იზრდება. საუკეთესო პირობებში ბრაზილიაში ევკალიპტის ზრდა სიმაღლეზე წელიწადში აღწევს 7 მეტრს, ხოლო დიამეტრი მატულობს 2 სანტიმეტრით.

განსაკუთრებით ხელსაყრელ პირობებში მას შეუძლია მიაღწიოს ფენომენალურ სიმაღლეს — თითქმის 120-140 მეტრს. ხშირად შეხვდებით ევკალიპტის ხეს, რომლის სატე ოთხი-ხუთი მეტრია. კიდევ უფრო მეტ სიმაღლეს აღწევს ორი სახეობის ევკალიპტი, დასავლეთ ავსტრალიაში რომ იზრდება. მათ კოლოსალურ ევკალიპტს ან ამიგდალინს უწოდებენ. ერთ-ერთ მათგანს მელბურნის მახლობლად 152 მეტრი სიმაღლე ჰქონდა. დედამიწის ფლორის ამ ერთადერთი თავისებური წარმომადგენლის ასაკი რამდენიმე ათასი წელი იყო.

ძნელია ჯეროვნად შევაფასოთ ევკალიპტის ყველა სასარგებლო თვისება. მისი ბევრი სახეობის მერქანი თავისი სიმაგრის მეოხებით ყველაზე ძვირფასია მსოფლიოში. ევკალიპტის მერქანი უფრო მაგარია, ვიდრე მუხისა და კაკლისა. ევკალიპტს წარმატებით იყენებენ მიწისზედა და მიწისქვეშა ნაგებობებისათვის, რკინიგზის შპალებისა და ხიმინჯების დასამზადებლად. საოცარი სიმაგრის გამო ამ ხეზე ყოველთვის დიდი მოთხოვნილება იყო კაშხალების, გემების აგების დროს და სხვადასხვა ნაგებობათათვის, სადაც საჭიროა მასალის განსაკუთრებული გამძლეობა.

ნორჩი ყლორტებიდან და ფოთლებიდან, ხოლო ზოგიერთი სახეობის მერქნიდანაც ამზადებენ სათრიმლავ ნივთიერებებს — ტანიდებს, რომლებიც საჭიროა ტყავების საწარმოებლად. მაგალითად, საქართველოში გაზრდილი ხეების მერქნიდან ლანჩრისა და იუხტის დამზადების ცდებს — 1950-1951 წლებში აწარმოებდა მოსკოვის ტყავ-ფეხსაცმლის მრეწველობის ცენტრალური სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი, სიმაგრის, ელასტიურობისა და ფერის მხრივ ტყავმა საუკეთესო თვისებები გამოავლინა.

ევკალიპტის ფოთლის ქსოვილები შეიცავენ სხვადასხვა ეთეროვან ზეთებს. ზოგიერთ მათგანს საპარფიუმერიო მრეწველობაში იყენებენ. მაგალითად, ლიმონის ევკალიპტის ეთეროვან ზეთებს აქვთ უნაზესი არომატი, რომელიც ლიმონის სურნელებას მოგვაგონებს. ევკალიპტის ეთეროვან ზეთებს ფართოდ იყენებენ მედიცინასა და ვეტერინარიაში. ისინი საუკეთესო ანტისეპტიკებია. მათგან დამზადებული პრეპარატები კარგად ძოქმედებენ სასუნთქი ორგანოების, პირის ღრუს, ცხვირისა და საყლაპავი მილის, ნაწლავების, თვალის, შარდის ბუშტის, თირკმლების, ღვიძლის, ჰიპერტონიული დაავადების, წყლულებისა და სხვ. მკურნალობის დროს. ისინი მაღალეფექტიურია სხვადასხვა ქირურგიული ოპერაციების, თურქულთან, ბრუცელოზასთან, პარატიფთან და პირუტყვის სხვა დაავადებებთან ბრძოლის დროს.

ევკალიპტის ფოთლები იმდენად მდიდარია ეთეროვანი ზეთებით, რომ ევკალიპტის ნარგავების გარშემო ჰაერი მუდამ გაჟღენთილია მათი სურნელებით. ᲔᲗᲔᲠᲝᲕᲐᲜᲘ ᲖᲔᲗᲔᲑᲘ ᲙᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲐ ᲛᲐᲠᲗᲝ ᲡᲐᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲝᲡ ᲒᲚᲘᲜ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲘᲒᲘ ᲡᲘᲚᲐᲠᲑᲔᲖᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ. სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ლენინგრადის ექსპერიმენტული მედიცინის ინსტიტუტში წარმოებულმა ცდებმა დაადასტურა, რომ ევკალიპტის აქროლადი ფიტონციდები ბაქტერიციდულ გავლენას ახდენენ ჰაერის მიკროფლორაზე.

არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ ევკალიპტის ერთ-ერთი თვისება, განსაკუთრებით ტენიანი სუბტროპიკების ადგილებში, სადაც გავრცელებულია მალარიის კოოო. ᲔᲕᲙᲐᲚᲘᲞᲢᲘᲡ ᲤᲝᲗᲚᲔᲑᲘ ᲓᲘᲓ ᲛᲐᲜᲫᲘᲚᲖᲔ ᲐᲠᲪᲔᲚᲔᲑᲔᲜ ᲣᲫᲚᲘᲔᲠᲔᲡ ᲡᲣᲠᲜᲔᲚᲔᲑᲐᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲡ ᲡᲠᲣᲚᲘᲡᲐᲓᲘᲗ ᲕᲔᲠ ᲘᲢᲐᲜᲡ ᲙᲝᲚᲝᲛ. მთავარი კი ის არის, რომ ამ გიგანტური ხის სწრაფი ზრდა დაკავშირებულია მისი ფესვების აქტიურ მოქმედებასთან, რომლებიც სწრაფად სწრფენ წყალს დიდ მანძილზე ხის გარშემო და ამრიგად აშრობენ ნიადაგს, რაც მალარიის კოლოს უსპობს საკვებ არეს.

საფრანგეთის, ესპანეთის, პორტუგალიის, საქართველოს, იტალიის, პალესტინის, სამხრეთ აფრიკის, ალჟირის ჭაობიან ადგილებში უკვე დიდი ხანია ებრძოდნენ მალარიას იმით, რომ ჭაობებში რგავდნენ ევკალიპტს.

ევკალიპტის ხეები უსვი თაფლმავნი მცენარეებია. მისი თაფლი გამოირჩევა განსაკუთრებული გემოთი და სამკურნალო თვისებებით. ხელსაყრელ პირობებში ევკალიპტი ყვავილობას იწყებს 3-5 წლის ასაკში.

ევკალიპტს ფართოდ იყენებენ ტყესაცავი ზოლების, პარკების, ხეივნების გასაშენებლად. მას იყენებენ ჩიადაგის ეროზიასთან საბრძოლველად, გზების გაყოლებით დასარგავად, ცარიელი და სოფლის მეურნეობისათვის უვარგისი, მათ შორის ქვიშიანი მიწების გასატყევებლად.

ნიადაგის პირობების მხრივ ევკალიპტი ნაკლებადმომთხოვნი მცენარეა. მას შეუძლია ზრდა საკმაოდ ოარიბ ნიადაგებზეც, მაგრამ, რა თქმა უნდა, უფრო მძლავრ და სწრაფ ზრდას იგი აღწევს კარგ, მდიდარ ნიადაგზე. ცალკეული სახეობანი კარგად ხარობენ დაჭაობებულ ნიადაგებზე, მაგრამ ამასთან თავიანთი განვითარების პირველ ხანებში საკმაო დრენაჟს მოითხოვენ.

ჩვენს ხელთ არსებული მონაცემების მიხედვით შეგვიძლია მტკიცედ ვთქვათ, რომ საქართველოს სუბტროპიკულ რაიონებს ხელსაყრელი პირობები აქვთ ბევრი სახეობის ევკალიპტის ძვირფასი და მაღალნაყოფიერი ტყის ნარგავები. სუბტროპიკული რაიონებისათვის ასეთი შეიძლება იყოს ევკალიპტი. მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის მთავარი კომიტეტი ჯერ კიდევ სათანადოდ ვერ აფასებს სუბტროპიკული სატყეო მეურნეობის შექმნის მნიშვნელობას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით საქართველოს ეთერზეთების ტრესტს დაევალა თავისი სისტემის საბჭოთა მეურნეობებში ევკალიპტის ეთერზეთების წარმოების საჭიროებისათვის ევკალიპტის ამონაყარი კულტურის ფართობი აეყვანათ 200 ჰექტარამდე. ტრესტი კი რატომღაც აყოვნებს ამ დადგენილების შესრულებას. ამ მიზეზით ევკალიპტი გაშენებულია მხოლოდ 60 ჰექტარ ფართობზე. კვლავ აზიანებენ საუცხოო დეკორაციულ მცენარეებს ეთერზეთოვანი ნედლეულის დასამზადებლად.

ᲔᲕᲙᲐᲚᲘᲞᲢᲘ ᲧᲝᲕᲔᲚᲛᲮᲠᲘᲕ ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲘ ᲡᲐᲛᲔᲠᲫᲕᲜᲔᲚᲘ ᲮᲘᲨᲘᲐ, საჭიროა მისი ყოველი ღონისძიებით განვითარება. ეს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელთა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტების, სოფლის მეურნეობის საწარმოო სამმართველოების და სუბტროპიკული რაიონების ყველა მუშაკის საქმეა. პირველ რიგში საჭიროა სარგავი მასალის გამოყვანა, ევკალიპტის ნარგავების გაშენების გეგმის დაწესება. საჭიროა არსებული ნარგავების დაცვის და მათი სანიმუშო მოვლის უზრუნველყოფა.

სადირექტივო ორგანოების მითითებით რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ უკვე მიიღო ზომები ევკალიპტის ნერგების გამოსაყვანად. ცხაკაიას სახელმწიფო სანერგე მეურნეობაში დაწყებულია სასათბურო მეურნეობის მშენებლობა. ეს სანერგე უკვე 1967 წელს გამოუშვებს ერთ მილიონზე მეტ ევკალიპტის სტანდარტულ ნერგს. ამ მაგალითს უნდა მიბაძონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის მთავარმა სამმართველომ, საქართველოს პროფსაბჭოს კურორტების მართვის რესპუბლიკურმა საბჭომ, საქართველოს კვების მრეწველობის სამინისტრომ და სხვა დაინტერესებულმა უწყებებმა და ორგანიზაციებმა.

ევკალიპტის კულტურის განვითარება ძირითადად სატყეო მეურნეობის საზით უნდა მიმდინარეობდეს. ამიტომ სანაპირო ზონის სატყეო ფონდში არსებული მიწები, რომლებიც დაკავებულია მურყნის და სხვა ნაკლებნაყოფიერი ბუჩქნარით, მთების კალთების უტყეო ან თხელტყიანი ქვედა ნაწილები, რომლებიც თითქმის უვარგისია სხვა კულტურებისათვის, მთლიანად დაკავებულ უნდა იქნას ევკალიპტის ნარგავებით. ევკალიპტი განსაკუთრებით ფართოდ უნდა გავრცელდეს კოლხიდის დაბლობში. გარდა ევკალიპტის ტყესაცავი ზოლების გაშენებისა, მან აქ უნდა დაიკავოს ის მიწები, რომლებიც დატოვებულია ტყის გასაშენებლად.

ამ საკითხის ასეთი გადაწყვეტის დიდ ეკონომიურ რენტაბელობას მოწმობს ევკალიპტის ნარგავების დიდი ნაყოფიერება (8-11 წლის ასაკში ევკალიპტის ნარგავებს შეუძლიათ იმდენი მერქნის მოცემა, რასაც ჩვეულებრივი ფოთლოვანი ნარგავები 100 წელში აგროვებენ), გაჩეხის ყველაზე მოკლე ბრუნვის დაწესება (8-10 წელი), გაჩეხის შემდეგ ამონაყარის სწრაფი აღდგენის საუკეთესო უნარი და ხის ყველა ნაწილის კომპლექსური გამოყენების შესაძლებლობა.

ევკალიპტი ფართოდ უნდა განვითარდეს ᲔᲗᲔᲠᲝᲕᲐᲜᲘ ᲖᲔᲗᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ. ეს შესაძლებლობას მოგვცემს გავადიდოთ ევკალიპტის ეთეროვანი ზეთების წარმოება და უკეთ გამოვიყენოთ ეთერზეთების ქარხნები. ეთერზეთების მიღების მიზნით ევკალიპტი უნდა გაშენდეს 1-2 წლიანი ამონაყარი კულტურის სახით.

ევკალიპტი სხვა სამერქნე ჯიშებთან ერთად გამოყენებულ უნდა იქნას ქარსაცავი ზოლების გაშენების დროს. ᲔᲕᲙᲐᲚᲘᲞᲢᲘᲡ ᲡᲬᲠᲐᲤᲘ ᲖᲠᲓᲐ ᲣᲙᲕᲔ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ 3-4 ᲬᲚᲘᲜᲘᲗ ᲓᲦᲔ ᲥᲛᲜᲘᲡ ᲙᲐᲠᲒ ᲡᲐᲪᲐᲡᲗᲐ ᲖᲐᲛᲝᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲖᲐᲒᲮᲣᲚᲘᲡ ᲥᲐᲠᲒᲔᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ. ქარსაცავი ზოლების მოკლე ვადებში შექმნას კი დიდი მნიშვნელობა აქვს მთელი რიგი სუბტროპიკული რაიონებისათვის, სადაც გაზაფხულის და ზაფხულის ხორშაკი მეტად მავნე გავლენას ახდენს კულტურულ მცენარეებზე.

ᲓᲘᲓᲘ ᲞᲔᲠᲡᲠᲔᲥᲢᲘᲕᲔᲑᲘ ᲐᲥᲕᲡ ᲔᲕᲙᲐᲚᲘᲞᲢᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲗ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ, ᲘᲒᲘ ᲒᲐᲛᲐᲯᲐᲜᲡᲐᲚᲓᲔᲑᲐᲓ ᲛᲝᲛᲥᲛᲔᲓᲔᲑᲡ ᲑᲐᲠᲔᲛᲝᲖᲔ. ᲔᲕᲙᲐᲚᲘᲞᲢᲘᲡ ᲜᲐᲠᲒᲐᲕᲔᲑᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲐᲡᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚ ᲞᲣᲜᲥᲢᲨᲘ, ᲡᲐᲐᲒᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝᲔᲑᲘᲡ, ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲘᲡ ᲓᲐᲑᲚᲝᲑᲨᲘ, ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲩᲐᲘᲡ ᲤᲐᲑᲠᲘᲙᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲠᲛᲘᲓᲐᲛᲝᲨᲘ. ᲔᲕᲙᲐᲚᲘᲞᲢᲘ ᲤᲐᲠᲗᲝᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲥᲜᲐ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲖᲐᲢᲐᲪᲔᲚᲘᲡᲒᲐᲜ, ᲛᲐᲒᲐᲠᲘᲜᲔᲑᲘᲡ, ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ, ᲒᲣᲠᲯᲐᲐᲜᲘᲡ, ᲑᲝᲚᲜᲘᲡᲘᲡ, ᲥᲝᲑᲣᲚᲔᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ, ᲡᲐᲔᲠᲗᲝᲓ, ᲐᲤᲐᲠᲘᲡ, ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲗᲐ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲘᲗ ᲓᲐ ᲛᲘᲛᲐᲯᲐᲜᲡᲐᲚᲓᲔᲑᲐᲓ ᲛᲝᲛᲥᲛᲔᲓᲔᲑᲡ ᲑᲐᲠᲔᲛᲝᲖᲔ.

მ. დოლაბერიძე,
საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე.


## ᲘᲪᲘᲗ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲐᲛ ᲮᲘᲡ ᲡᲘᲥᲔᲗᲔ?!

*საუბარი საქართველოს სსრ განათლების მინისტრთან ამხ. თ. ლაშქარაშვილთან*

# სკოლის მუშაობის სრულყოფის საწინდარი

იმ უდიდეს ისტორიულ წარმატებებში, რაც საბჭოთა ხალხს ლენინური კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით აქვს მოპოვებული, სკოლას თვალსაჩინო წილი უდევს. სკოლა ის დაუშრეტელი წყაროა, საიდანაც მილიონობით ახალგაზრდები იღებენ ცოდნას. სკოლაში იღებს ნორჩი თაობა პირველ წრთობას, ემზადება ცხოვრებაში გასასვლელად.

სასკოლო მუშაობის შემდგომ სრულყოფას ემსახურება სწორედ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ მიღებული დადგენილება — „საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტი გუშინ ესაუბრა საქართველოს სსრ განათლების მინისტრს ამხ. **თ. ლაშქარაშვილს** და სთხოვა **ეამბნა ამ დიდმნიშვნელოვან, სახალხო განათლების მუშაკთათვის საპროგრამო დოკუმენტის თაობაზე და იმის შესახებ, თუ, ამასთან დაკავშირებით, რა უახლოესი ამოცანები დგას რესპუბლიკის სახალხო განათლების ორგანოების წინაშე.**

— პარტიისა და მთავრობის ეს დადგენილება, — განაცხადა მინისტრმა, — უაღრესად დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებს სახალხო განათლების სისტემის შემდგომ განვითარებაში. მასში ნაჩვენებია სკკპ XXIII ყრილობის მიერ დასახული ამოცანების პრაქტიკული რეალიზაციის საშუალებები და გზები. დადგენილებაში, — ამბობს მინისტრი, — უაღრესად ნათლად არის დასახული განერალური ხაზი სკოლის, როგორც ზოგადსაგანმანათლებლო, შრომითი, პოლიტექნიკური სკოლის, განვითარების, რომელსაც განათლების მუშაკთა წინაშე სახავდა ვ. ი. ლენინი.

ჩვენმა ქვეყანამ, ადამიანობის ისტორიაში პირველმა, შექმნა განათლების ნამდვილად დემოკრატიული სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს მოქალაქეებისათვის საშუალო და უმაღლესი განათლების მიღების რეალურ შესაძლებლობას. საბჭოთა კავშირის ყველა ხალხს აქვს სკოლა **დედაენაზე, ყველგან შემოდებული საყოველთაო** სავალდებულო რვაწლიანი სწავლა, მიმდინარე სასწავლო წელს კი წარმატებით დაიწყო საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლა, რაც 1970 წლისათვის უნდა დამთავრდეს.

ჩვენი რესპუბლიკის რვაკლასდამთავრებულ მოსწავლეთა 81 პროცენტი წელს განაგრძობს სწავლას ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის მეცხრე კლასებში, ხოლო, ამასთან ერთად, 8000-მდე მოსწავლე მერვე კლასის დამთავრების შემდეგ შევიდა ტექნიკუმებსა **და** სპეციალურ სასწავლებლებში.

ამ ციფრების დიდი მნიშვნელობა გასაგები იქნება თუ გავითვალისწინებთ, რომ საერთოდ სახელმწიფო გეგმით გათვალისწინებული იყო შემდგომ გაეგრძელებინა სწავლა მეცხრე კლასებში რვაკლასდამთავრებულთა 70 პროცენტს. ასევე წარმატებებით ხორციელდება ეს გეგმა მოძმე საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებში, რაც იმის საწინდარია, რომ წარმატებითვე განხორციელდება საყოველთაო საშუალო განათლება, რასაც ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლო მსოფლიოში პირველი ახორციელებს.

ეს დადგენილება ბევრ კონკრეტულ ღონისძიებას ითვალისწინებს. პირველ რიგში მინდა აღვნიშნო ღონისძიება, რაც ხელს შეუწყობს სასკოლო ბაზების გაფართოებას. ახალი დადგენილებით, მაგალითად, მშენებარე სამრეწველო საწარმოთა და საუწყებო საცხოვრებელ მასივთა კრებსით ხარჯთაღრიცხვებში გათვალისწინებული იქნება შესაბამისი დარგის კაპიტალური დაბანდების ხარჯზე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების შენობების აგება.

ცნობილია თუ რა ფართო გაქანება აქვს ჩვენს რესპუბლიკაში ინიციატივიან შენებლობას. ამ მხრივ თავი გამოიჩინეს ზუგდიდის, ქუთაისის, გურჯაანის, ბოლნისის, ქობულეთისა და, საერთოდ, აჭარის, ავრეთვე საქართველოს მრავალი სხვა რაიონის მშრომელებმა, რომლებმაც ბავშვები, მშობლები გააბარეს საკუთარი ინიციატივითა და სახსრებით აშენებული სასკოლო შენობებით. ამასთან დღემდე ჭირდა ამ მშენებლობებისათვის მასალებით მომარაგება, დადგენილებით კი ეს ნაკლოვანება აღმოფხვრილ იქნება — შესაბამის ორგანოებს დავალებული აქვთ გაითვალისწინონ სკოლების ინიციატივიანი მშენებლობის ფართო გაქანება და ამ მშენებლობებისათვის მასალებისა და მოწყობილობების ფონდები გამოყონ იმავე საფუძველზე, როგორც სკოლებისათვის, რომლებიც სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე შენდება. გითვალისწინებულია ყველა მშენებელი სასკოლო შენობა საექსპლოატაციოდ გადაეცეს სასწავლო წლის დამდეგს.

ამხ. ლაშქარაშვილმა საუბარი აღნიშნა, რომ დადგენილებაში დიდი ყურადღება ეთმობა განათლების შინაარსს, სრულყოფის საკითხებს. დასმულია ამოცანა — გადაისინჯოს სასკოლო პროგრამები და სახელმძღვანელები, რათა ისინი უფრო დაუკავშირდნენ ცხოვრების ახალ მოთხოვნებს, მათში ასახვა ჰპოვონ მეცნიერებისა და ტექნიკის უმაღალესი წიხლაგან.

რას სწავლობენ მოსწავლეები? — ეს ეს მოითხოვს გულდასმით გადასინჯვას. ამასთან უნდა ითქვას, რომ ჩვენ უკვე გვაქვს მოხაზული პროგრამები. ახლა მთავარია მათი დახვეწა. დაზუსტება. პროგრამები, სახელმძღვანელობები, მთელი საგანმზრდელო მუშაობა ისე უნდა აიგოს, რომ ხელს უწყობდეს ცხოვრებასთან სკოლის კავშირის შემდგომ განმტკიცებას. სკოლა ხომ უნდა აღიარებდეს მოსწავლეებს საზოგადოებრივი განვითარების კანონების ცოდნით, ზრდიდეს მათ საბჭოთა ხალხის რევოლუციური და შრომითი ტრადიციებით, უვითარებდეს საბჭოთა პატრიოტიზმის მაღალ გრძნობას, ზრდიდეს ახალგაზრდობას ისე, რომ იგი მზად იყოს სოციალისტური სამშობლოს დასაცავად.

პარტიისა და მთავრობის ეს დადგენილება გვაკვალებს ხელი შევუწყოთ ფაკულტატურ სწავლებას. ჩვენს რესპუბლიკაში კარგი შედეგები მოგვცა მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის გაღრმავებულმა სწავლებამ. დედაქალაქის ორმა — 42-ე საშუალო და მათემატიკურმა სკოლა-ინტერნატმა გვიჩვენა ისეთი სწავლების დიდი ეფექტურობა. უმაღლეს სასწავლებლებში მისაღებ გამოცდებზე ამ სკოლების კურსდამთავრებულებმა საუკეთესო მომზადება გამოავლინეს. რესპუბლიკამ გვაქვს საგნების გაღრმავებული სწავლების 30-მდე კლასი სხვადასხვა სკოლებში, საგნების გაღრმავებული სწავლება ეკეთა გაფართოვდება.

დიდია ბავშვთა ესტეტიკური აღზრდის როლი. თუ რაოდენ დიდი მისწრაფება აქვს ბავშვებს ხელოვნებისაკენ იმითაც დასტურდება, რომ რესპუბლიკის სკოლებში 500-მდე მარტო მუსიკალური ჯგუფი გვაქვს. ამასთან ბავშვ

# ნ. ვ. პოდგორნის გამოსვლა ავსტრიის ჯელევიზიით

ვენა, 20 ნოემბერი. (საკდესი). სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი დღეს საღამოს ავსტრიელ ხალხთან ერთად ავსტრიის ტელევიზიით.

„მე პირველად ვარ ავსტრიაში, თქვა ნ. ვ. პოდგორნიმ, და ძალიან მიხარია, ამ ბედნიერებისთვის, ავსტრიელ ხალხს ჩვენ ბევრი ვიცოდეთ ერთმანეთის ... ავსტრიელი ხალხის ბეჯითი შრომის ნაყოფი, მისი მაღალი ... ავსტრიის ... ეროვნული ... ავსტრიელ ... ავსტრიელ ... ავსტრიელ

## ინტერვიუ მკითხველთა თხოვნით

# ჟურნალ-გაზეთი ყველა ოჯახს

„კომუნისტის“ რედაქციაში შემოდის მკითხველთა წერილები ჟურნალ-გაზეთების გამოწერის ვადებისა და ამ საქმესთან დაკავშირებულ მთელ რიგ საკითხებზე. მათ შორის ბათუმის რაიონის სოფელ წინავლის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობის პარტბიოროს მდივანი ე. სიორიძე გვიკითხავს: **იმ პირებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ჟურნალ-გაზეთების გავრცელებას და გამოწერის დოკუმენტების გაფორმებას, მიეცემათ თუ არა რაიმე ანაზღაურება?**

„კომუნისტის“ რედაქციამ სთხოვა საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს პრესის გავრცელების სამმართველოს უფროსს ხ. ხოფელიძეს გაეცა პასუხი ამ საკითხზე.

როგორც ვიცით, — განაცხადა მან, — პრესის გავრცელება „სოიუზპეჩატისა“ და კავშირგაბმულობის ორგანოების მუშაკებს აქვთ დაკისრებული. მაგრამ იმასთან დაკავშირებით, რომ ჩვენში ფართოდ იკიდებს ფეხს მუშაობაში საზოგადოებრივი საწყისი, ჟურნალ-გაზეთების გავრცელებაში აქტიურად მონაწილეობს მთელი არმია — პრესის გავრცელებისა და პროპაგანდის საბჭოების, საზოგადოებრივი გამავრცელებლების სახით. მათ გამოყოფენ ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები ყველა დაწესებულებაში, საწარმოში, კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში. ისინი ამ დავალებას ასრულებენ როგორც საზოგადოებრივ დატვირთვას. არც ქალაქად, არც სოფლად ეს ამხანაგები გასამრჯელოს არ იღებენ.

გამონაკლისს შეადგენენ სოფლის საფოსტო განყოფილებათა მუშაკები, საუწყებო და საკომეურნეო ფოსტალიონები. მათ ეძლევათ პრესის გავრცელებით (მხოლოდ სოფლად) მიღებული თანხის 4 პროცენტი იმ შემთხვევაში, თუ ისინი „სოიუზპეჩატის“ რაიონულ სააგენტოსთან წინასწარ შეთანხმებით კარდაკარ ჩამოივლიან სააგენტოს მიერ მითითებულ სოფლებს, გავრცელებენ ჟურნალ-გაზეთებს, გამოწერენ ქვითრებს, მიიღებენ თანხას და ჩაბარებენ „სოიუზპეჩატს“ განკოფილებებს.

სამწუხაროდ, არის სიგნალები, — აღნიშნავს ამბ. ხონელიძე, — რომ ზოგან ხელმოწერად ამცირებენ ჟურნალ-გაზეთებზე ხელმოწერის ვადებს და ზღუდავენ ცალკეულ გამოცემათა, მათ შორის გაზეთ „კომუნისტზე“ ხელმოწერას **თითქოს ლიმიტი არ კოფილიდეთ და ხელმოწერა შეზღუდული იყოს.** ასეთი გადაცდომები და მიოუმტეტს მოქმედება თვითნებობაა იმ მუშაკებისა, რომლებიც კიდევ არიან მოკალათებულნი კავშირგაბმულობის საფოსტო განყოფილებებში. ამით ისინი, ცხადია, ხელს უშლიან პრესის მასობრივად გავრცელებას.

ამ არანორმალურ მდგომარეობას ბოლო უნდა მოეღოს. **როგორც არაერთხელ იყო გამოქვეყნებული გაზეთებში, მთელ ჩვენს ქვეყანაში ჟურნალ-გაზეთებზე ხელმოწერა სრულიად თავისუფალი, შეუზღუდავი და ულიმიტოა. ეს ეხება გაზეთ „კომუნისტსაც“;** 1967 წლისათვის ჟურნალ-გაზეთებზე ხელმოწერა იწარმოება ამა წლის 25 ნოემბრის ჩათვლით. ცხადია, ხელმოწერა ამის შემდეგაც გაგრძელდება, მაგრამ არა 1967 წლის 1-ლ იანვრისათვის, არამედ თებერვლისა და მომდევნო თვეებისათვის ასევე შეუზღუდავად და თავისუფლად.

მეტად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ხელმომწერლებისათვის ჟურნალ-გაზეთების დროულ მიწოდებას. ცნობილია, რომ კავშირგაბმულობის ორგანოებს ჟურნალ-გაზეთები მიაქვთ ყველა ქალაქსა და დაბაში, ხოლო სოფლად — საფოსტო განყოფილებამდე, საიდანაც ჟურნალ-გაზეთები ფოსტალიონებმა უნდა წაიღონ. ჟურნალ-გაზეთების ხელმოწერის ზრდასთან დაკავშირებით უნდა გადიდდეს ფოსტალიონების რიცხვი იმ ვარაუდით, რომ ერთ ფოსტალიონზე მოდიოდეს 15-16 კილოგრამი ტვირთი; ამჟამად კი ფოსტალიონების სიმცირე ბევრგან აფერხებს ხელმომწერთათვის ჟურნალ-გაზეთების მიტანას. ეს განსაკუთრებით შესამჩნევია ვანის, ზესტაფონის, თერჯოლის, დუშეთის და სხვა რაიონებში.

მაშ ასე: **უზრუნველყოთ თვითეული ოჯახი ხელმოწერითი გამოცემებით. ხელმოწერის დამთავრებამდე კი რამდენიმე დღე დარჩა.** დარჩენილი დრო მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ.

# ჩვენი სტუმრები

**ვასულ** კვირას ერევნიდან თბილისში ჩამოვიდა უცხოელ დიპლომატთა ჯგუფი, რომელიც საბჭოთა კავშირში მოგზაურობს. დიპლომატთა შორის არიან კანადის, დანიისა და შვეიცის მოსკოვის საელჩოთა პირველი მდივნები ვ. კოლეტი, ბ. კინბერგი და ლ. ბერკვ�ტი, დიდი ბრიტანეთისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მოსკოვის საელჩოთა მრჩევლები კ. როსნი და ა. ზიგერი.

სტუმრებს შეხვდნენ რესპუბლიკის სავაჭრო პალატის თავმჯდომარე, რ. სელიგიანოვი, ს. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგილე ტ. ბაშენიძე. სრულიად საკავშირო საავტო საზოგადოება „ინტურისტის“ თბილისის განყოფილების მმართველი ლ. ე. ჩიბერდანიძე და სხვები.

ჩამოსულის პატივსაცემად დღეს დიპლომატებმა და მათმა მეუღლეებმა თბილისის ზაჭარიო ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიურ თეატრში მოისმინეს კომპოზიტორ შ. მშველიძის ოპერა „ამბავი ტარიელისა“.

ორშაბათს სტუმრებმა დათვალიერეს თბილისი, იყვნენ შამპანური ღვინოების ქარხანაში, ნახეს თბილისის კინოსტუდიის ფილმები.

**ლიდი** ბრიტანეთის გათნალების, მეცნიერებისა და კულტურის მინისტრი ანტონი კროსლენდი მეუღლითურთ მეორე დღეს საქართველოში იმყოფება. მასთან ერთად ჩამოვიდნენ გამათლების საკითხთა სახელმწიფო მდივნის მოადგილე ტობიას უოვერი, დიდი ბრიტანეთის მოსკოვის საელჩოს პირველი მდივანი ჯონ მორგანი და მინისტრის მდივანი ნორმან პენდიმანი.

ინგლისელ სტუმრებს საბჭოთა კავშირში მოგზაურობის დროს ახლავან სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი ალ. ნ. �იბლაძე. საოჯახარში მონაწილეობა მიიღეს რესპუბლიკის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრის მოადგილეებმა გ. ბ. დოლიძემ და კ. ს. ჯელიძემ, განათლების, მეცნიერებისა და კულტურის მინისტრი ანტონი კროსლენდი და მისი თანმხლები პირები 21 ნოემბერს ეწვიენენ უცხო ენათა ბელადგოგიერ ინსტიტუტს.

(საქმეები).

# ამინდი

**გუშინ** აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ აღმოსავლეთ რაიონში აღნიშნული იყო მცირე წვიმა, ხოლო საქართველოს დანარჩენ რაიონებში მშრალი ამინდი იდგა. მაქსიმალური ტემპერატურა იყო ქუთაისში — 24, ფოთში — 23, გუდაუთაში — 22, ქობულეთში — 21, გაგრაში — 19, ბორჯომში — 17, ბაკურიანში — 15, თბილისში — 11 გრადუსი.

**დღეს** აღმოსავლეთ საქართველოს აღმოსავლეთ რაიონებში მოსალოდნელია მცირე წვიმა, ხოლო საქართველოს დანარჩენ რაიონებში უნალექო ამინდი, ხუსტი ქარი. ტემპერატურა დასავლეთ საქართველოს ბარში — 20-25 გრადუსი, მთაში — 15-20, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს ბარში — 10-15, მთაში — 7-12 გრადუსი.

თბილისში უნდა მოველოდეთ მნიშვნელოვნად მოღრუბლულ ამინდს, მცირე წვიმით, იქროლებს ხუსტი ქარი. ტემპერატურა — 11-13 გრადუსი.

## ამბები, ცნობები

# მეგობართა გამოფენა

**ვის** არ სურს თავისი ბინა მორთოს ლამაზად, გემოვნებით, კომფორტაბელურად, რომ ოჯახში იყოს სითბო და მყუდროება. ბინის მოწყობის მთავარი კომპონენტი ხომ საცხოვრებელი ფართობის შეაბამისი მოსერხებული აეჯია, და განა მარტო აეჯი. დიდ როლს ასრულებენ საყოფაცხოვრებო მომსახურების საგნები, ელექტროხელსაწყოები და სხვ. სწორედ ასეთ თანამედროვე აეჯსა და სამრეწველო საქონელს გაეცნობით პოლონეთის საგარეო ვაჭრობის საწარმოების „უნივერსალისა“ და „პაგედის“ მიერ მოწყობილ გამოფენაზე, რომელიც 19 ნოემბერს გაიხსნა საქართველოს სსრ საბალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ტერიტორიაზე.

გამოფენის შესასვლელშივე ყურადღებას იქცევს შადრევნების ვეებერთელა აუზში მოტივტივე ფერად-ფერადი გასაბერი ნავები. აუზის კუთხეებში ლამაზი ფერებით შეღებილი სხვადასხვა ფორმის სპორტული კარვები. ეს ექსპონატები ეკუთვნის საწარმო „უნივერსალს“, რომელიც ერთ-ერთ მსხვილ სამრეწველო ფირმად ითვლება პოლონეთში. „უნივერსალი“ აწარმოებს 15.000 დასახელების სამრეწველო საქონლის ექსპორტს. ფირმა თავის პროდუქციას აყიდის მსოფლიოს 120 ქვეყანაში. განსაკუთრებით გაცხოველებული ვაჭრობა „უნივერსალს“ აქვს ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს ქვეყნებთან. სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებს შორის საბჭოთა კავშირი ითვლება ერთ-ერთ მთავარ სახელმწიფოდ, სადაც პოლონური საქონელი დიდი რაოდენობით იყიდება.

იმისათვის, რომ პოლონურმა საწარმოებმა გააუმჯობესონ გამოშვებული პროდუქციის ხარისხი, აწარმოონ მხოლოდ ის საქონელი, რაც მოსწონს და რის ყიდვაც სურს მომხმარებელს, ფირმა „უნივერსალი“ ხშირად აწყობს გამოფენებს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში და, რასაკვირველია, საბჭოთა კავშირშიც. გასულ წელს ასეთი გამოფენა მოეწყო მოსკოვში, კიევში, წელს კი დონეცკში, ვოლგოგრადში და აი ახლა გაიხსნა თბილისში.

— ჩვენი მიზანია, — გვეუბნება გამოფენის დირექტორი ზდისლავ კონუშევსკი, — გაეცნონ თქვენი რესპუბლიკის საქმიანი წრეები აქ წარმოდგენილ ექსპონატებს, გაგვიზიარონ თავიანთი შეხედულებები, შენიშვნები, რომ შემდგომში ეს გათვალისწინებულ იქნას, გამოფენა ნახონ თბილისელმა მომხმარებლებმა. საინტერესოა მათი აზრი ჩვენს ნაწარმზე.

ექსპოზიციას „უნივერსალი“ იწყებს. ყურადღებას იქცევს სპორტული ინვენტარი — სხვადასხვა ფორმის ბურთები. სპეციალური სპორტული ფეხსაცმელი, ლამაზად შეხამებული ველოსიპედები. მოთხილამურეთა თუ ტურისტული ლაშქრობისათვის განკუთვნილი საკარგო ინვენტარი, სამზარეულო ჭურჭელი, გაზის ქურები და სხვ.

გამოფენის შემდეგი განყოფილება ითმობა მუსიკალურ ინსტრუმენტებს. დამთავალიერებლები ეცნობიან სხვადასხვა მარკის რადიომიმღებებს, ტელევიზორებს, მაგნიტოფონებს.

ფირმა „უნივერსალი“ გვთავაზობს ნარინგერი მოდელებისა და დანიშნულების ნათურებს, ჭაღებს, გაზის ქურებს, ომალისა და ალუმინის სამზარეულო ჭურჭელს და სხვ.

გამოფენის მეორე პავილიონი ეთმობა საწარმოო ფირმა „პაგედას“. პავილიონში განლაგებულია საწოური ოთახის, სასადილოს, კაბინეტის, სამზარეულოს რამდენიმე სახის გარნიტური. ავეჯი გამოირჩევა ფორმების სინატიფით, საუკეთესო მოპირკეთებით. ცალკეა ექსპონირებული სამეზი, მოხერხებული, რბილი სავარძლები და სხვ.

19 ნოემბერს გამოფენა ხაზეიმოდ გაიხსნა. შესავალი სიტყვა წარმოთქვა საქართველოს საგარეო პალატის თავმჯდომარემ რ. ელიგულამოვმა. სტუმრებს ნიესალმა საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრის მოადგილე ვ. ჯინჯიხაძე.

პოლონელი სტუმრების სახელით შეკრებილთ სიტყვით მიმართა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოს სავაჭრო ატაშემ სსრ კავშირში ქერნის მიშტელიამ.

19 ნოემბერს პოლონეთის სამრეწველო საქონლისა და აეჯის გამოფენა დაათვალიერეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა რ. ფრუნძემ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებმა ნ. გოგიჩაიშვილმა და ვ. სირაძემ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ვაჭრობის, საგეგმო და ფინანსური ორგანოების განყოფილების გამგემ დ. მამულაძემ, საქართველოს სსრ ხელოვნების, ჭაღალდისა და ხის დასამუშავებელი მრეწველობის მინისტრმა ვ. ფარაზანოვმა, საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრმა ა. მელაძემ, რესპუბლიკის სასპორტო საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კომიტეტის თავმჯდომარემ გ. ვ. სიხარულიძემ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ვაჭრობის, საგეგმო და ფინანსური ორგანოების განყოფილების გამგის მოადგილემ თ. ნ. მეხეთეშვილმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მაჩინერებისა და ტექნიკის კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ ბ. ე. ლომაძემ და სხვ.

გამოფენა 4 დეკემბრამდე იმუშავებს.





**სურათებზე:** გამოფენის ექსპონატები (ზემოთ, მარცხნივ) — მოდერნიზებული აეჯი, (მარჯვნივ, ზემოდან ქვემოთ) — კაბინეტური რადიომიმღები, პიანინოს ახალი მოდელი, კერადა-მაცივარი.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

# საჭადრაკო ზეიმი ჰავანაში

**ჰავანა,** 20 ნოემბერი. (საკადესი). 19 ნოემბერს შვიდი ათასი კაცი ერთდროულად მიუსხდა ჭადრაკის მაგიდებს. ჭადრაკის ისტორიაში ერთდროული თამაშის ასეთი არნახული სეანსი გაიმართა აქ რევოლუციის მოედანზე. სეანსი გამართეს მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის მონაწილეებმა, რომელთა წინააღმდეგ თამაშობდა კუბის ბევრი ხელმძღვანელი, მათ შორის კუბის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი და რევოლუციური მთავრობის პრემიერ-მინისტრი ფიდელ კასტრო. იგი თამაშობდა მსოფლიოს ჩემპიონის ტიგრან პეტროსიანის წინააღმდეგ.

ეს არაჩვეულებრივი ახალგაზობა მოეწყო ხალხმრავალი მიტინგების, სამხედრო პარადებისა და დემონსტრაციების ტრადიციულ ადგილზე. მოჭადრაკეთა „ბრძოლას“, რომელიც ძლავრი პროდუქტორების შუქზე წარმოებდა, ყურადღებით ადევნებდა თვალს ამ ქვეყნის თამაშის უამრავი თაყვანისმცემელი.

**კუბელი** ბავშვებისა და ახალგაზრდების ფიზიკური აღზრდის ეროვნული ინსტიტუტი ბავშვებისა და ახალგაზრდების ფიზიკურ აღზრდასა და სპორტულ ინვენტარზე ზრუნავს. ინსტიტუტის ინჟინერ-ტექნიკოსებმა ბევრი ახალი, ლამაზი, ფერადი ინვენტარი შეიმუშავე